საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№82 2020 წლის 16 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის თაობაზე

1. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, არ გავრცელდეს შეზღუდვები და მიეცეს თანხმობა:

ა) „ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა“ (პროგრამული კოდი: 27 01 01) პროგრამის ფარგლებში, დამხმარე

ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განსაზღვროს არა უმეტეს 114 ერთეულით;

ბ) „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა“ (პროგრამული კოდი: 27 04) პროგრამის ფარგლებში, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განსაზღვროს არა უმეტეს 8 ერთეულით;

გ) „შრომის პირობების ინსპექტირება“ (პროგრამული კოდი: 27 05 02) პროგრამის ფარგლებში, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განსაზღვროს არა უმეტეს 100 ერთეულით.

2. განკარგულება ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**